სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №195

ქ. დმანისი 16 დეკემბერი 2010 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ დმანისის მუნიციპალიტეტი (მის: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ. №41), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბაკურ მგელაძის (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ელვაკომი" (მის: ქ. ბოლნისი, ს. ორბელიანის ქ. №112) წარმოდგენილი დირექტორის კახა ზურაბაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"). მხარეებს შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს *სოფ. ვარდისუბანის და სოფ. გნოლოვის ეკლესიების განათების მოწყობის სამუშაოები* გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, (2010 წლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს.

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სტანდარტებს.

4. სამუშაოს შესრულების ვადა

4.1 „შემსრულებელი" სამუშაოს შესრულებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2010 წლის 22 დეკემბერს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება მოხდება სამუშაოს შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2-ის საფუძველზე.

5.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხოლოდ კოორდინატორსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, შესაბამისი წარმოდგენილი ფორმა №2-ის საფუძველზე, წარმოდგენიდან 20 დღის ვადაში შემსრულებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6.3 თანხის წინასწარ გადახდის შემთხვევაში „შემსრულებელს" მოეთხოვება წინასწარ მოსათხოვი თანხის შესაბამისი რაოდენობის საბანკო გარანტია (არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30%-ისა).

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 **„შემსყიდველი"** ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის გადაუხადოს „შემსრულებელს" გაწეული სამუშაოს ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების შესრულებას.

7.2 **„შემსრულებელი"** ვალდებულია:

ა) დროულად და სათანადო ნაკლების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას დაიცვას ვადები;

გ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" სამუშაოების გაწევისას წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2010 წლის 30 დეკემბრამდე.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

10.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

11. ინსპექტირების პირობები

11.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას ინსპექტირებას გაუწევს კოორდინატორი: დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მთ. სპეციალისტი კომუნალური მეურნეობის საკითხებში პავლე ადუაშვილი.

11.2 არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში, აღმოჩენილ ნაკლს გამოასწორებს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა

12.1 „შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და გადაახდევინოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისას ყოველი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „მიმწოდებელს" არ ანთავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

12.4 „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს.

13. სპეციფიკური პირობები

13.1 შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შენარჩუნების საგარანტიო ვადად დადგენილია 1 წელი.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს სამ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
დმანისის მუნიციპალიტეტი	შპს „ელვაკომი"
მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ. №41	მის: ქ. ბოლნისი, ს. ორბელიანის ქ. №112
საიდენტიფიკაციო კოდი: №228928391	საიდენტიფიკაციო კოდი №225393106
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს	ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს
დმანისის ფილიალი	ბოლნისის ფილიალი
ბანკის კოდი 220101425	ბანკის კოდი 220101459
ანგარიშსწორების ანგარიში: № 1313033030001	ანგარიშსწორების ანგარიში: № 36020346
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:	შპს „ელვაკომი"-ს დირექტორი:
ბ. მგელაძე	კ. ზურაბაშვილი